საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახურს

# განმარტებითი ბარათი

თქვენს მიერ მოწერილ წერილთან დაკავშირებით (MIA 9 19 02580838 30.09.2019) გატყობინებთ, რომ ჩვენს მიერ მოხდა მოცემული შენიშვნების განხილვა რის პასუხადაც გაუწყებთ:

1. ცეცხლმედეგი ზღუდეები (ლიფტის შახტები, შიდა გასასვლელი გზა-კიბეები და ა.შ)1 რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი არის ერთსაათიანი საჭიროებს არანაკლებ ერთსაათიანი (60 წუთი) ცეცხლმედეგი კარების მოწყობას, ხოლო ორსაათიანი ცეცხლმედეგობის ზღუდეების შემთხვევაში, მასში ჩაყენებული კარების ცეცხლმედეგობა მიღებული უნდა იქნეს არანაკლებ საათნახევარი (90 წუთი).
ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებისსაფუძველი: დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილება ქვეპუნქტი716.5

შენიშვნა მიღებულია და შესაბამისი ცვლილებები შეტანილია საპროექტო დოკუმენტაციაში.

2. ვინაიდან დაპროექტების წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის2 სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნოლოგიური სქემების დონეზე, ხოლო ტექნოლოგიური სქემები არ შეიცავს სათანადო ინფორმაციას და მონაცემებს (როგორც ტექსტურს, ისე გრაფიკულს) შენობაში მოსაწყობ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შესახებ (სათანადო ინფორმაციასა და მონაცემების განზოგადება კი წარმოებს შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაციის შემუშავების გზით) ამასთან რადგანაც შეუძლებელია ამ სისტემების ტექნოლოგიური სქემებით მოხდეს შენობაში მოსაწყობი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებიდან, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე, სამსახურს მიაჩნია, აუცილებლად შემუშავებული იქნას შენობის შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაცია და დადგენილი წესის თანახმად წარმოდგენილი იქნას განსახილველად, რომლებიც მათ შორის უნდა შეიცავდეს:

ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;

ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;

გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტს;

დ) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტს;

ე)შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციისა და დაწნევის სისტემების მოწყობის პროექტს;

ვ)შენობის ხანძრის შესახებ მაუწყებლობის, ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების და ავარიული განათებების მოწყობის პროექტს;

ზ) შენობის გათბობა–ვენტილაციის სისტემების მოწყობის პროექტს;

თ) შენობის ელექტროდანადგარების და მეხდაცვის სისტემის მოწყობის პროექტს.

შენიშვნა მიღებულია, შესაბამისი საპროექტო / საინჟინრო დოკუმენტაცია წარდგენილი იქნება პროექტის III ეტაპზე.